№ 240. კვირა, 29 ივნისი, 1896—1897 კვირა, 29 ივნისი, № 240.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიმართევენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერაგ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.
პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

„ცნობის ფურცელი“ იბეჭდება ყოველ დღე 1800 ეკზემპლიარი.

«ცნობის ფურცლის» რედაქციამ შეიძინა დიდ-ძალი კლიშეები (400 მ.)
განცხადების დასასურათებლად
მსურველთ შეუძლიათ მობრძანდნენ რედაქციაში და ამოარჩიონ
შესაფერი კლიშეები თავიანთის განცხადებისა.
ფასი ზომიერია
O. РЕНАРЪ

«ცნობის ფურცელი»
წლის დამლევამდე
ღირს
ოთხი მანათი.

შემდეგი ნომერი „ცნობის ფურცლისა“ გამოვა, პეტრე-პავლობის დღესასწაულის გამო, სამშაბათს, 1 ივლისს.

დეპეშა

გაზეთ „ცნობის ფურცლისა“.

„რუსეთის სატელეგრაფო სააგენტოსაგან“

27 ივნისი.

მოსკოვი. 26 ივნისს მოვიდა აქ სამზღვარ-გარეთიდგან სიამის მემკვიდრე პრინცი, რომელსაც მიეგებნენ მეფე, უავგუსტოესი გენერალ-გუბერნატორი, გენერლობა, წარმომადგენელნი ადმინისტრაციისა, თავად-აზნაურობისა და ქალაქისა.

კალკუტა. რადგანაც სამხედრო ზომები იქმნა მიღებული, სალხს წარსულს ღამეს აღარავითარი უწესოება აღარ მოუხდენია. დღეს მშვიდობიანობაა.

კანეა. პლატანში მომხდარ შემთხვევისაგამო, ადმირალებმა გადასწყვიტეს შესცვალონ მოქმედების გეგმა. ადმირალები, მეამბოხეთა შეთქმულად, გაგზავნიან ძლიერს რაზმს საომარი იარაღით და სასტიკ ზომებს მიიღებენ მეამბოხეთა დასამშვიდებლად; აგრეთვე ცდებიან დამნაშავენი დაიჭირონ და დასაჯონ.

კონსტანტინეპოლი. პორტამ სახელმწიფოებს დეპეშა გაუგზავნა, რომელშიაც აცხადებს, რომ, სამხედრო მოსაზრებისა გამო, იძულებული ვარ მოვითხოვო, რომ საზღვარი ტინეიზე იქმნას გაყვანილი. კრებები ზავის შესახებ მოსალაპარაკებლად ჯერ-ჯერობით შეწყვეტილია.

პარიზი. აქ კარგი შთაბეჭდილება მოახდინა რუსეთის მიერ სახელმწიფოებთან გაგზავნილმა ნოტამ, ზავის გამო მოლაპარაკების დაჩქარების შესახებ. ამ ნოტას დიდს მნიშვნელობას აძლევენ.

კონსტანტინეპოლი. დღეს გამოაშკარავდა, რომ რუსეთის მიერ გაგზავნილმა ნოტამ, რომელშიაც ის ურჩევს სახელმწიფოთ, რომ მათ უფრო ენერგიული ზომები მიიღონ, რათა აიძულონ ოსმალეთი ზავის პირობებზე თანხმობა მალე გამოაცხადოს,—ილდიზ-კიოსკში შთაბეჭდილება მოახდინა. ყველა დარდანელში მყოფ ოსმალეთის გემმა ბრძანება მიიღო, მოემზადეთ კრიტზე წასასვლელადაო. გემებს 3 თვის სურსათი ექმნებათ თან. ის გემებიც, რომლებიც შესაკეთებლად არიან მიცემულნი, რაც შეიძლება მალე უნდა გაემგზავრნენ. ფლოტის ის აფიცრები, რომლებიც დროებით დათხოვნილ იქმნენ, სამი დღის განმავლობაში უნდა გამოცხადნენ. ზღვათა წრეებში იმ აზრისანი არიან, რომ მხოლოდ ზოგიერთი გემი გამოდგება კრიტის წყლებში წასასვლელადო.

ᲐᲮᲐᲚᲘ ᲐᲛᲑᲐᲕᲘ

⁂ **ქართული თეატრის ბედ-იღბალი.** როგორც მოსალოდნელი იყო, ქართული თეატრის ბედ-იღბალი ისევ განსაცდელში ჩავარდა. ეხლანდელ დრამ. საზოგადოების მმართველობას, თურმე, გადაუწყვეტია დამდეგი სეზონისათვის თითიც არ გაანძრიოს და თეატრის საქმე ალალბედზე მიავდოს... პატრონებიც სწორედ მაგისთანა უნდა ჩვენს თეატრს და საზოგადოების სამსახურიც ხომ უკეთესი არ შეიძლება!..

განა სირცხვილი არ არის, რომ დრამატ. საზოგ. მმართველობა უარს ამბობს თეატრის საქმის წარმოებაზე! ნეტა რაღას ეუბნებიან ზნეობრივ და იურიდიულ მოვალეობას? რისთვის არიან ამორჩეულნი, რა საჭიროებისთვის? ნუ თუ მარტო იმისთვის, რომ საპატიო სახელი ატარონ დრამ. საზოგ. წევრობისა?!. ადვილად გადაუწყვეტიათ—საქმის წარმოებას აღარ ვკისრულობთო, თითქოს ასეთი გადაწყვეტილება რასმე ნიშნავდეს, თუ არ საქმის ღალატს და მათს ყოვლად გამოუსადეგრობას იმ სამსახურზე, რომელზედაც მოწვეულ იქმნენ საზოგადოებისაგან... მაგრამ მახლას! „კარგი რამ გვჭირდეს გიკვირდეს ავი რა საკვირველია“!..

⁂ **„წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობის“ წლიური კრება.** „წიგნების გამომცემელ ქართველთა ამხანაგობას“ წლიური კრება დაუნიშნავს მომავალის ენკენისთვისათვის. ამ კრებამ უნდა განიხილოს „ამხანაგობის“ მოქმედების ანგარიში როგორც წარსულის 1896 წლისა, აგრეთვე შარშანწინდელის 1895 წლის ანგარიშიცა, რადგან 1895 წ. ამხანაგობას კრება არა ჰქონია. წევრების მისაწვევ წერილში ამხანაგობის წარმომადგენელი ბ-ნი ალექსანდრე ჯაბადარი აცხადებს, რომ მიზეზი კრების ასე დაგვიანებისა მაშინ, ენკენისთვეში, იქმნება მოხსენებული ამხანაგობის გამგეობის მიერ.

⁂ **პროფესორის ტიხომიროვის ჩამოსვლა ტფილისში.** წელს ივლისის პირველ რიცხვებში ტფილისს ეწვევა მოსკოვის უნივერსიტეტის პროფესორი ა. ა. ტიხომიროვი.

⁂ **კახეთის რკინის გზის შესახებ.** ბ. გზათა მინისტრი ატყობინებს ბ. კავკასიის მთავარ-მართებელს, რომ სამინისტროს ნება დაერთო გამოიკვლიოს წელს კახეთი რკინის გზის მიმართულება და აღნიშნოს ლიანდაგი გზისა.. ამ საგნისათვის სამინისტროს ხარჯთ-აღრიცხვით გადადებული აქვს 33,000 მანათი, ხოლო შესრულება ამ საქმისა მინდობილი აქვს ინჟენერს რომანოვს. ბ. მინისტრი სთხოვს ბ. მთავარ-მართებელს მოახდინოს განკარგულება, რომ ბ. რომანოვსა და მასთან სხვა პირთაც, რომელთაც ეს საქმე აქვთ მინდობილი, აღმოუჩინონ ხოლმე შემწეობა, რათა მინდობილობა თავის დროზე და წესიერად შეასრულონ.

⁂ **მთაწმინდის წმ. დავითის ეკკლესიის სამრეკლოს გამო.** მისს ყოვლად უსამღვდელოესობას საქართველოს ეგზარხოსს ვლადიმერს ნება დაურთავს გაიმართოს ხელის მოწერა მთაწმინდის წმ. დავითის ეკკლესიასთან სამრეკლოს აშენებისთვის საჭირო ფულის შესაკრებად. შემოწირულებანი, სხვათა შორის, მიიღება გაზ. „კავკაზ“-ის რედაქციაშიაც.

⁂ **ახირებული წესები ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე.** ამ ბოლოს დროს რაღაც ახირებული წესები შემოიღეს ამიერ-კავკასიის რკინის გზაზე: მცხეთაში აქნობამდე ფოსტა დილით მოდიოდა; ეხლა-კი ღამის მატარებლით გამოაქვთ ხოლმე და მცხეთელები მოკლებულნი არიან იმ სიამოვნებას, რომ ტფილისის ჟურნალ-გაზეთები იმ დღესვე წაიკითხონ, რა დღესაც იბეჭდებიან და ადგილობრივ ხელის მომწერთა ურიგდებათ. ურიგო არ იქნებოდა, რომ ამიერ-კავკასიის რკინის გზის მმართველობა გვაცნობებდეს მაინც რა მოსაზრებით ხელმძღვანელობდა იგი ასეთის წესის შემოღებაში?

⁂ **ბ. ალავერდოვის წამლობა ლოთობის წინააღმდეგ.** როგორც იქმნა, ბოლო მოეღო ბ. ალავერდოვის ფარფაშსა და ხალხის მოტყუილებას: მისი წამლობა ლოთობის წინააღმდეგ ნამდვილი სიცრუვე და თვალთ-მაქცობა გამოდგა და ბ. პეტერბურგის ობერ-პოლიცმეისტერს *) სასტიკად აღუკრძალავს ცრუ ექიმისათვის ხალხის მოტყუილება და იმ საშუალების ხმარება.

თუ ბ. ალავერდოვმა არ მოიშალა თავისი საქციელი, მას სასჯელი მოელის კანონის ძალით.

⁂ **„მცირე-წლოვანთა მზრუნველ საზოგადოების“ წეს-დების გამო.** ბ. კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს უკვე განუხილავს „მცირე-წლოვანთა მზრუნველ საზოგადოების“ წეს-დება და წარუდგენია კიდეც კავკასიის უმაღლესის მთავრობისათვის.

⁂ **მატარებელში კაცის უეცრად გარდაცვალება.** სადგურთ ბათომსა და ყვირილას შუა, მესამე კლასის ვაგონში, უეცრად გარდაცვლილა დაღესტანელი სპარსელი ხალმეტ-იაბარკული-ოღლი, 46 წლისა, რომელიც სალოცავად ყოფილა წასული და სახლში ბრუნდებოდა, თურმე. მიცვალებულის გვამი გასჭრეს და გამოიკვლიეს ადგილობრივმა ექიმებმა და ამ დასკვნას დაადგნენ, რომ სისხლი ასვლია ტვინში და იმის გამო მომკვდარაო.

ამიერ-კავკასიის რკინის გზის უფროსს, ბ. ვედენეევს, ყოველს შემთხვევაში, მიუნდვია უფროსის ექიმის ბ. სახაროვისათვის ბეჯითად გამოიკვლიოს—რა მიზეზით მომკვდარა ხსენებული სპარსელი.

⁂ **ამიერ-კავკასიაში მიწების გამიჯვნის შესახებ.** მართლ-მსაჯულების სამინისტროში ამ ჟამად სჯა აქვთ იმის შესახებ, თუ როგორ უნდა დაჩქარდეს ამიერ-კავკასიაში მიწების გამიჯვნის საქმე და განზრახვა აქვთ ამის შესახებ შეიმუშავონ სავალდებულო წესდება.

⁂ **სულით ავადმყოფთათვის ფარდულის შესახებ.** კავკასიის უმაღლესს მთავრობას გადაუწყვეტია ხელ-ახლად აიგოს ფარდული სულით ავადმყოფთათვის მიხეილის სამკურნალოსთან, რომელიც ამას წინად დაიწვა.

⁂ **ენციკლოპედიური ლექსიკონი სამოქალაქო სასწავლებლებში.** საერო განათლების სამინისტრომ ნება დართო სამოქალაქო სასწავლებელთ იქონიონ ხოლმე თავიანთ წიგნთ-საცავებში ენციკლოპედიური ლექსიკონი ბროკგაუზისა.

⁂ **ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ბრძანება.** ქუთაისის გუბერნატორმა ერთს თავის ბრძანებაში, მიაქცია-რა ყურადღება მდაბიო ხალხში ძველთაგან დამკვიდრებულს სისხლის ძიების ჩვეულებას, განკარგულება მოახდინა, რომ ადმინისტრაციამ ყოველი ღონის-ძიება იხმაროს მოსისხლე მტერთა მოსარიგებლად.

⁂ **ინჟენერის ბალინსკის გაძარცვის საქმე.** ხვალ, 30 ივნისს, ტფილისის

---

*) ბ. ალავერდოვი ამ ჟამად პეტერბურგში იმყოფება და ვითომ აქიმობდა იქაურ ლოთებს.

ოლქის სასამართლო განიხილავს ინჟენერის ბალინსკის გაძარცვის საქმეს, რომელშიაც ბრალი ედება აზნ. იშხნელს.

⁂ **საჯარო ვაჭრობა ტფილისის სადგილ მამულო ბანკში.** ოც-და ექვს ივნისს, ტფილისის სადგილ-მამულო ბანკის დარბაზში დანიშნული იყო საჯაროდ გასყიდვა ქ.ქ ქუთაისი, ბათომის და გორის იმ მამულებისა, რომლებზედაც დარჩენილი იყო შემოუტანელი წლიური გარდასახადი. გასასყიდად დანიშნული იყო 14 მამული, მათში 10 მამული გაიყიდა, ხოლო ოთხი მამულის ვაჭრობა გადიდვა 14 ივლისისათვის.

⁂ **ტფილისის ოლქის სასამართლო ქ. გორში.** 13 ივლისს ტფილისის ოლქის სასამართლოს დროებითი განყოფილება, რომელსაც შეადგენენ სასამართლოს წევრნი ი. ო. პარჩევსკი და ა. ვ. პადალკო და ბრალდებულის ამხანაგი ა. გ. რიბინი, გაემგზავრება ქ. გორში და იქ ორის დღის განმავლობაში განიხილავს 8 სისხლის სამართლის საქმეს.

⁂ **სავაჭრო საბუთების შეძენის შესახებ თიანეთის მაზრაში.** ტფილისის სახაზინო პალატის მმართველს უთხოვნია ბ. ტფილისის გუბერნატორისათვის, მოახდინოს განკარგულება, რომ მომავალში თიონეთის მაზრაში მოვაჭრეთა შეეძლოთ ხოლმე შეიძინონ (ისყიდონ) სავაჭრო საბუთები და მოწმობები თვით თიონეთის მაზრის სამმართველოში. აქნობამდე ხსენებული მოვაჭრენი იძულებულნი იყვნენ საბუთების შესაძენად ქ. თელავში წასულიყვნენ და მით მეტის-მეტი ხარჯიცა ჰქონდათ და დროც ბევრი ეკარგებოდათ.

⁂ **პასუხად ბ-ნ ს. დონდაძეს.** ბ-ნო რედაქტორო! თქვენის პატივცემულის გაზეთის 236 №-ში დაბეჭდილი წერილი ბ-ნ ს. დონდაძისა სიმართლეს მოკლებულია. ხსენებულ დონდაძეს ჩვენ მოვუჭერით სწორედ 8 არშინი კრუჟევა, არც მეტი და არც ნაკლები; როცა უკან მოგვიტანა, ჩვენ ჩვენის სიმართლის აღსადგენად იქვე ოთხს ჩვენს მეზობელს გავაზომვინეთ და ოთხივემ დაამოწმა, რომ სწორედ 8 არშინი იყო. მიზეზი ჩვენის ათვალწუნებისა ის-კი არ იყო ბ-ნ დონდაძისაგან, რომ კრუჟევა ნაკლები იყო ზომაში, არამედ ის, რომ ჯერ იყიდა და მერე აღარ მოიწონა და ბოლოს გამოვიდა „მიზეზ მიზეზ დოს მარილი აკლიაო“. რაც შეეხება სხვა-და-სხვა ლაჟვაიებს ბ-ნ დონდაძისას, იმაზე პასუხის გაცემა სრულებით უადგილოდ მიგვაჩნია პატივცემულის „ცნობის ფურცლის“ მკითხველებისათვის.

შკაფი № 67.

⁂ **ფოთი. გახშირებული ლატარიები.** ღმერთმა თქვენი მტერი შეაწუხოს, ბატონებო, ისე, როგორც ჩვენ, ფოთელები, მეტადრე ახალგაზდები, ამ ლატარიებმა შეგვაწუხა; დღე არ გაივლის ისე, რომ ორი-სამი ადგილიდამ წერილი არ მოგვივიდეს, რომელშიაც სწერია: უსათუოდ ლატარიაზე ხელი უნდა მომიწეროვო, ლატარიაში მაქვს ჩაგდებული ან ქინძისთავი, ან ბროშკა, ვერცხლის (რასაკვირველია, ცხრა შაურიანი), ან ძველის-ძველი, უვარგისი საათიო, რომლის ფასათ დიდი-დიდი მანათ-ნახევარი გაიმეტოთ. თუმცა ნივთი ძვირფასი არ არისო, მაგრამ ვახშამი მექნება კარგიო, მაგალითად, ადესის ღვინო—ფუთი ოთხ-აბაზიანი, ბალიო და ბოლოს იწერებიან „ჩემს ლატარიაში დაბალი და უბრალო ხალხი არ იქნებაო, როგორც ჩემს „პადრუგას“ ჰყავდა ოთხშაბათ საღამოსო“.

თუ ვინიცობაა, მათ წერილს არ მიაქციეთ ყურადღება, ხელი არ მოაწერეთ და მანათი არ გაუგზავნეთ მომტანის ხელით,—მტერი დაილუპოს ისე, როგორც მაშინ დაილუპებით, გინებით და ლანძღვით ხომ მიწასთან გაგასწორებენ სანამდი განხვიდნენ და თუ განხეს სადმე, გიჟივით მოგვარდებიან და დიდის ლანძღვით, ერთის მაგიერ ორს ადგილას მოგაწერინებენ ხელს და ორს მანათსაც ჯიბიდამ ამოგაღებინებენ. თუ, საუბედუროდ, ხელის მოწერის დროს ფული ჯიბეში არ დაგირჩათ და ვადა სთხოვეთ, დიდის მრისხანებით შემოუძახებენ: ჩვენ სანისიო არა გვაქვს-რა—მალე წარმოადგინე ორი მანათიო.

ვინ იცის, ბატონებო, რამდენჯერ გავწითლებულვარ მათ წინაშე ჩემი რვა მანათი ჯამაგირის და მათი ლატარიების გადამკიდე და რამდენჯერ დამიგირავებია ხოლმე უკანასკნელი ნივთი, ოღონდ-კი სირცხვილიდამ გამოვსულიყავ.

სხვები ღმერთმა კარგად ამყოფოს მე-კი მთლად დავიღუპე, ღმერთმან იცის. დიდი მადლი და წყალობა იქნებოდა პოლიციის მხრით, რომ ამ უმზგავსო ჩვეულებას ყურადღებას მიაქცევდნენ...

დროებით მცხოვრები.

⁂ **ქ. ბათომი. ბ. ა. დარჩუანაშვილს.** გაზეთ „ცნობის ფურცლის“ მე-210 №-ში დაბეჭდილი იყო თქვენი წერილი „ჩინური ჭინჭრის (რამის) გამრავლება“. აღნიშნული წერილი თავიდგან ბოლომდე დიდის სიამოვნებით გადავიკითხე, მაგრამ, ჩემდა საუბედუროდ, ვერ გავიგე ამ საუცხოვო და სასარგებლო მცენარე «რამს» რა სარგებლობის მოტანა შეუძლია; შეიძლება დიდი სასარგებლოც იყოს, მაგრამ საჭიროა მუშა ხალხმა იცოდეს: 1) რა ღირს ერთი ფუთი, 2) ერთ ქცევა მიწაზე რამდენი ფუთის მოყვანა შეიძლება, 3) რანაირი ნიადაგია საჭირო, 4) ამ ჩვენს მხარეებში სად უფრო სასარგებლო და სამჯობინოა „რამის“ მოყვანა და 5) რა შრომა მიდის ერთი ფუთის მომზადებისთვის. ერთი სიტყვით, საჭიროა დაწვრილებით იყოს გამოანგარიშებული—ყოველივე ხარჯი ერთი ქცევა მიწისა. ამისათვის უმორჩილესად გთხოვთ გაზეთ „ცნობის ფურცლის“ საშუალებით განუმარტოთ მუშა ხალხს ყოველივე ამ საგნის შესახებ, რითაც დიდად დაგვავალებთ, ნამეტურ თუ დროისით შეგვატყობინებთ.

ა. მიქელაიშვილი.

⁂ **ს. დოესი. აჩქარების უნაყოფობა.** ამას წინათ თქვენ პატივცემულ გაზეთში იყო წერილი სოფელ დოესიდგან ნ. ციციშვილის სახლის დაწვაზედ. ეხლა, როგორც გავიგეთ, გამოძიებას ძალიან სამწუხარო მიმართულება მიუღია.

გორის მაზრის უფროსის თანაშემწე თ. გიორგი ლევანისძე ჯანდიერი სხვა ნაირად ჰფიქრობდა ამ საქმის წაყვანას: ჯერ პირველში საქმე ისე დაიწყო თ. ჯანდიერმა, რომ უეჭველი იყო დამნაშავის პოვნა, მაგრამ, ხომ მოგეხსენებათ, «აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამია»-ო სწორედ ისეც მოუვიდა თ. ციციშვილს. ის სრულებით წინ დაუხედავად მოიქცა, ვინ ამბობს ყველასაც გული დაეწვის იმოდენა ზარალი რომ მოუვიდეს (3000 მან.) ერთ ღამეს, მაგრამ იმის წინაღმდეგი არავინ იქნება, რომ ყველა საქმეს ნათლად გათვალისწინება უნდა, აუჩქარებლივად. დაზარალებულმა-კი თავის წარდგენილ პირთ დანაშაულობა ვერ დაუმტკიცა. თუმცა გორის ციხეშიაც ამოაყოფინა თავი, მაგრამ რამდენისამე ხნის შემდეგ პროკურორმა რა, ნახა საქმის დაუმტკიცებლობა, სრულებით მოსპო. ამას იქით ნამდვილი დამნაშავეც, რომ იყოს გაფრთხილდება, გამოქნილის გამბედავის თვალებით პირდაპირ შეჰხედავს მოსამართლეს და სომხურ „ჩკას“ მიართმევს. ეს ასეა: ურემი რომ გადაბრუნდება, გზა მაშინ გამოჩნდება. იქნება ეხლა ბევრსაც ნანობდეს პატივცემული თ. ციციშვილი საქმის ამ ნაირად დაბოლოვებას, რას იზამთ?!. კიდევაც რომ თავი დაანებონ და მარტო გიორგი ლევანის ძე ჯანდიერს მიანდონ ამ საქმის წარმოება, უეჭველია, კეთილად დაბოლოვდება, რადგანაც თ ჯანდიერმა, როგორც პირველში ვთქვით, ისე გულ-მოდგინეთ და საქმის აწონ-დაწონვით დაიწყო გამოძიება, რომ უეჭველი იყო თვითონ სოფელი დოესი მისცემდა დამნაშავეს ადმინისტრაციას ხელში.

დექციხელი.

⁂ **ს. ამაღლება.** (გურია) **მჟავე წყლები.** თავადის ერისთავის ასულის და აწ ქალბატონ როსსის მამულში რკინის წყლებია, რომლებითაც ავადმყოფები ძალიან იკურნებიან. ამ წყლებზე დიდ-ძალი ხალხი მოდის გურიის სხვა-და-სხვა კუთხიდგან. ქალბატონმა როსსიმ სამიწადმოქმედო და სახელმწიფო ქონებათ სამინისტროს მიმართა თხოვნით, მცოდნე კაცები გამოგვიგზავნეთ ამ წყლების თვისების გამოსაკვლევადო. ამ მოკლე ხანში მოელიან კიდეც ამაღლებაში სპეციალისტებს. იმედია, სოფ. ამაღლება მომავალში ერთი საუკეთესო საზაფხულო ადგილი გახდება ქუთაისის გუბერნიაში. სასურველია, სამიწად-მოქმედო სამინისტრომ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს ქ-ნის როსსის თხოვნას და ხელი შეუწყოს მისის განზრახვის ასრულებას.

მოსკოვში გამართულ „ქართულ საღამოს“ ანგარიში.

მოწყალეო ხელმწიფევ ბ-ნო რედაქტორო! გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელ“-ში ამ ბარათს მისცეთ ალაგი. ამ ბარათსა აქვს ორ გვარი დანიშნულება. პირველი ის, რომ გულითადი მადლობა გამოუცხადო ორიოდე კავკასიაში მცხოვრებ პირთ, რომელთაც მოგვაწოდეს თავიანთი წვლილი 12 თებერვლისათვის, როდესაც მოსკოვში იმართებოდა საღამო ღარიბ ქართველ სტუდენტთა სასარგებლოდ; მეორე ის, რომ ქართველი საზოგადოება

ახალი ღვაწლი „კვალისა“.

ყველა შეგნებულს მკითხველს მოეხსენება, რომ ქართველი, მეტადრე გლეხები, თავისი უვიცობის გამო ბუნების მეტყველებაში, ბევრს იმისთანა ცხოველს ემტერებიან და ხოცვენ, რომელიც ქლეტავს მოსავლის მტრებსა: თაგვებსა, ჭია-მატლებსა, ბუზებსა და სხვა მწერებსა. ამ თავისი უგუნური მოქმედებით ქართველები ხელს უწყობენ გამრავლებას ჭინახულის მტრებისას, იმცირებენ მოსავალსა და თავისს სილარიბეს თვითონვე აძლიერებენ. ეს ნამდვილი სენია ჩვენის მეურნეობისა და იგი დაღადებით ითხოვს წამალსა, მალამოსა. ცხადია ყველასათვის, რომ ამ სენის უებარ წამლად უნდა ჩაითვალოს—მოფენა ხალხში ჭეშმარიტის ცოდნისა შესახებ სასარგებლო ცხოველებისა.

ევროპასა და რუსეთში კაი ხანია მიაქციეს ამ საგანს ყურადღება და დაბეჭდეს დაბიური თხზულებანი, რაშიაც ხალხს უხსნიან სარგებლობას ამა თუ იმ ცხოველისას, მის ბრძოლას მოსავლის მტრებთან, მნიშვნელობას მეურნეობისათვის. ჩვენს ლიტერატურაში-კი სრულიად არ მოიპოვება ამგვარი წიგნაკები. მართალია, „კონაში“ ჩვენ მოქცეული გვაქვს ცხოვრება და მოქმედება ზოგი სასარგებლო ცხოველისა, მაგრამ ეს სხვათა შორის არის ნათქვამი და მიზნის მისაღწევად საკმარისად არ ჩაითვლება. საჭირო იყო ცალკე გამოცემა დაბიური ენით დაწერილი წიგნისა, რომელშიაც უნდა ყოფილიყო მოთხრობილი მოქმედება და ცხოვრება იმ სასარგებლო ცხოველებისა და ფრინველებისა, რომელთაც ჩვენი ხალხი, თავისი უმეცრების გამო, უწყალოდ ქლეტავს, თავის საზიანოდ. სწორედ ამ განზრახვით ერთის წლის წინედ გამოვეცით სახალხო წიგნი: „მოსავლის მცველნი ანუ სასარგებლო ცხოველები და ფრინველები“. ვიდრე წიგნის დაწერას შევუდგებოდით, ჩვენ ხელახლად და გულ-დადებით გადავიკითხეთ თხზულებანი: ვარლე ფოსტისა (სასარგებლო და მავნე ცხოველები), ბრემისა (ცხოვრება ცხოველებისა), ვაგნერისა (მოთხრობანი ბუნების ისტორიიდგან), ბალდანოვიჩისა (мірскіе захребетники), ოსტროგორსკისა და ზოგიერთა სხვა წიგნები ბუნების მეტყველებიდგან.

რადგანაც აღწერილობითი ფორმა, მშრალი მეცნიერული კლასიფიკაცია, დაწვრილებითი აღწერა ცხოველების შინაგანი აგებულობისა ევროპის გლეხკაცობასაც კი ძლიერ აფუთხობს, ამიტომ ჩვენ მოვიქეცით სწორედ ისე, როგორც მოიქცნენ: გერმანიაში ვაგნერი და საფრანგეთში ჟიულ—ვერნი: ჩვენს წერილებს მივეცით მონოგრაფიული ხასიათი, ავირჩიეთ მოთხრობითი, დრამატიული ფორმა და მთავარი ყურადღება მივაქციეთ მას, თუ როგორ სცხოვრობს, როგორ იბრძვის და როგორ ქლეტს მავნე სულდგმულებს ესა, თუ ის ცხოველი, და რამდენად ძვირფასია ის სამსახური, რომელსაც იგი უწევს ჭინახულს, მეურნეობასა.

შინაარსი ჩვენის წიგნისა მთლად ეკუთვნით ზემოდ მოხსენებულს ავტორიტეტებს ბუნების მეცნიერებაში. ყოველი ჩვენი აზრი მათ თხზულებაში მოიპოვება, იქიდგან არის ამოღებული. ჩვენი არის მხოლოდ არჩევანი სასარგებლო ცხოველებისა, ფორმა მოთხრობისა, დალაგებულება მსჯელობისა, მიმდინარეობა აზრისა.

ჩვენის წიგნის გამოსვლის შემდეგ ადგილობრივმა პერიოდულმა გამოცემებმა თავისი აზრი წარმოსთქვეს მასზედ. „მეურნემ“ დაბეჭდა ერთი სამეურნეო ორ-კლასიანი სკოლის მასწავლებლის წერილი, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამი იყო: „შესასწავლებლად მათის (სასარგებლო ცხოველების) მნიშვნელობისა ჩვენმა პედაგოგმა იაკობ გოგებაშვილმა ერთი ძვირფასი წიგნი შესძლვნა ჩვენს სამეურნეო ლიტერატურას ქართულს ენაზედ. ეს არის—ზემოხსენებული წიგნი (მოსავლის მცველნი), რომელიც შეიცავს 64 გვერდსა. ეს საქმის ცოდნით შედგენილი მრავალ-სურათებიანი წიგნი დაწერილია პედაგოგის მიერ მდაბიო, გასაგები ენით. ვურჩევთ ყველა მეურნეს დაიმშვენოს თავისი ღარიბი სამეურნეო ბიბლიოთეკა ამ სასარგებლო წიგნით, რომელიც დიდს ნაყოფს და სარგებლობას მოუტანს პირად მას, როგორც მეურნეს („მეურნე“ 1896 წლისა № 22).

„ივერიაში“ დაიბეჭდა ბიბლიოგრაფიული წერილი, რომლის ავტორი, „კვალის“ ერთი დამოუკიდებელი თანამშრომელთაგანი, წიგნის გამოსვლას მიეგება მხურვალე თანაგრძნობით, აღიარა იგი „მშვენიერ შედგენილ წიგნად“ და ისურვა მისი მოფენა ხალხში, ამასთანავე თანაგრძნობა განუცხადა წიგნს ერთმა ქართველმა დამსახურებულმა ლიტერატორმა გაზეთს „კავკაზში“.

სრულიად სხვა გვარად მოიქცა „კვალი“. ამას წინად მან დაბეჭდა ვეებერთელა წყალ-წყალა წერილი სამს ნომერში, რომელიც იმისთანა უმართებულო კილოთი და უმეცრებით არის დაწერილი, რომ ჩვენს ლიტერატურაშიაც-კი ძნელად მოიპოვება მისი სადარი.

კრიტიკანი და რედაქცია ყოველ—უკადრისს ხერხს და ღონისძიებას ხმარობენ, რათა დაამცირონ მკითხველის თვალში წიგნიც და მისი ავტორიც, გზა შეუკრან წიგნსა და ხელი შეუშალონ მის გავრცელებას ხალხში. წერილი თავდება ასეთი სიტყვებითა: „ავტორს რომ სრულიად არ დაებეჭდა ეს წიგნაკი, მკითხველი საზოგადოება-კი არ წააგებდა, პირიქით მოგებაში დარჩებოდა: ჭეშმარიტებას მოკლებულს და ზღაპრულს ცოდნას არ შეითვისებდა, ფულს არ დახარჯავდა, დროს არ დაჰკარგავდა. ჩვენ ვურჩევთ იაკობ გოგებაშვილსა ბუნების მეტყველებას თავი დაანებოს, აქ ვერაფერს გააწყობს“.

ხომ მამაცური დასკვნაა? საბუთებიც მამაცური უძღვის წინ. მოვიყვანთ რამდენსამე ნიმუშს. პირველს ჩვენს მოთხრობას ჰქვიან „დევნილი მეგობარი ანუ ზღარბი“. ზღარბის მეგობრობას ადამიანთან იმითი ვასაბუთებთ, რომ იგი ქლეტს მეთქი შხამიან გველებსა და თაგვებსა. ღვაწლით შემოსილი რედაქცია თავისი კრიტიკანის პირით ჩასძახის მკითხველსა: დახეთ სადამდინ უწევს უვიცობა გოგებაშვილსა;

ცოტაოდნათ მაინც გავაცნოთ საღამოს გამართვის მოკლე ისტორიას და მის შედეგს. ჩვენ არ შეგვიძლია დაწვრილებით აღვნიშნოთ ის დრო, თუ როდის დაიწყეს ქართველებმა მოსკოვში ეგრედ წოდებულ „ქართულ საღამო"-ის მართვა, რადგანაც ხელთ არა გვაქვს არავითარი მასალა, შეგვიძლია აღვნიშნო.) მხოლოთ ის, რომ დასაწყისში საღამო ორი განყოფილებისაგან შესდგებოდა, როგორც ამ ხანებში, მხოლოთ განსხვავება იმაში მდგომარეობდა, რომ საკონცერტო განყოფილების მაგიერ დგამდნენ ქართულ პიესებს; პიესის შემდეგ იწყებოდა ლეკური და თავდებოდა ევროპიული ცეკვა-თამაშით, რომელიც ნაშუალამევის სამ საათამდე გრძელდებოდა. ბოლოს დადგა დრო, როდესაც იძულებულნი იყვნენ პიესებისათვის თავი დაენებებიათ, რადგანაც არ მოეპოებოდათ ისეთი პირები (განსაკუთრებით ქალები), რომელთაც მონაწილეობა მიეღოთ; ამიტომ სხვებს მიბაძეს და პირველ განყოფილებაში პიესა კონცერტით შესცვალეს, რადგანაც დიდ უმეტესობას სურდა რუსული საზოგადოებისათვის ქართული ხალხური სიმღერები გაეცნო, ამიტომ პირველი განყოფილების პირველი ნაწილი ნამდვილი ქართული იყო ხოლმე: აქ იყო მოთავსებული ქართული სიმღერები, რომელთაც ასრულებდა ხორო და ორკესტრი, ქართული რომანსები და კერძო მუსიკალური პიესები აღმოსავლეთის მელოდიებით სავსე, თუ კი ამგვარი რამე მოიპოებოდა. ამ გვარი საღამოები იმართება დღემდისაც; ყოველთვის მოსკოვის საზოგადოება თანაგრძნობით ეგებებოდა ამ საღამოებს; მე, როგორც ძველ სტუდენტს, მახსოვს აქ გამართული ხუთი თუ ექვსი საღამო და შემიძლია დაგარწმუნოთ, რომ დარბაზი ხალხით თითქმის მუდამ გატენილი იყო ხოლმე. რასაკვირველია, მატერიალური შედეგიც დასამდურებელი არიყო, მხოლოთ ამ უკანასკნელ სამ წელში მატერიალურმა შედეგმა პროგრესიულათ იკლო და, რასაკვირველია, ხალხიც ცოტა ესწრებოდა.

1894 წ. დარჩა მოგება 250 მან.
95 — — — — 500
96 — — — — 18.

ეს რიცხვები ძლიერ კარგად ამტკიცებენ უკანასკნელ აზრს, რომელიც ზემოთ ვსთქვით, თუ მხედველობაში მივიღებთ იმ შრომას, რომელიც იხარჯება სტუდენტებისაგან საღამოს გასამართავად, ადვილად მივხვდებით, რომ 1896 წ. საღამოს შემდეგ ერთხმად იყო ამხანაგებისაგან გადაწყვეტილი—შემდეგში საღამო არასოდეს არ გაემართათ: დიდი ცილისწამება იქნებოდა იმის თქმა, რომ მოსკოვის ქართველ სტუდენტების ამ გვარი გარდაწყვეტილება მარტო მატერიალურ მხარეზედ იყო დაფუძნებულიო; ამიტომ ჭეშმარიტება მოითხოვს აღვნიშნო მეორე მიზეზიც ამ გვარი გარდაწყვეტილებისა. ნუ დაივიწყებთ იმას, რომ წინადაც მომხდარა ისე, რომ ცოტა დაგვრჩენია, მაგრამ ჩვენი შრომა ყოველთვის დაჯილდოებული ყოფილა ზნეობრივი კმაყოფილებით, რადგანაც საღამოს შინაარსი კარგი ყოფილა და ხალხი დიდად ნასიამოვნები დარბაზიდან შინ დაბრუნებულა. შარშან-კი ამ ზნეობრივ კმაყოფილებასაც მოკლებული ვიყავით. დადგა სექტემბერი, მოვიყარეთ მოსკოვში თავი და საღამოს გამართვის აზრი ხელ-ახლა დაიბადა. მიზეზი ამისა მდგომარეობდა იმაში, რომ ჩვენ არ შეგვეძლო საღამოს სამუდამოდ გამოვთხოვებოდით და სახსოვრად არ დაგვეტოვებია საზოგადოებისთვის იმგვარი „მშვენიერი საღამო", როგორიც იყო უკანასკნელი. ამასთანავე, რასაკვირველია, ჩვენ გვსურდა, რომ რამე დაგვრჩენოდა და ამ დანარჩენით ხელი მოგვემართა იმ ღარიბ ამხანაგებისათვის, რომელთა რიცხვი, როგორც ვიცით, მრავალია. ამორჩეული იყო კომისია, რომელშიაც იღებდა მონაწილეობას ხუთი კაცი; რამდენად შეასრულა კომისიამ თავის მოვალეობა, ამას გვიმტკიცებს საღამოს გეგმა, დამსწრე საზოგადოების რაოდენობა, მისი შთაბეჭდილება, რუსული გაზეთების აზრი და მატერიალური მხარე. პირველ ნაწილში მონაწილეობას იღებდნენ იმისთანა პირები, როგორც ქ-ნი მ. ი. მახარინისა, ბ-ნი ა. ნ. ბრანდუკოვი, ა. ნ. კორეშჩენკო, ი. ვ. გრჟიმალი და სხვ. ქართული ნაწილი საღამოისა შესდგებოდა: „სამი მუსიკალური სურათი ქართველთ ცხოვრებიდამ", რომლებიც განგებ ჩვენი საღამოისთვის იყო დაწერილი იმგვარი ჩინებული კომპოზიტორის მიერ, როგორიც ბრძანდება ბ. ა. ნ. კორეშჩენკო. ეს სურათები შედგებოდა სამი ნაწილისაგან: 1) „გაზაფხულის დილა გურიაში", 2) „გურული სათამაშო" და 3) „მწყემსის სიმღერა"; გარდა ამისა ქ. მ. ი. მახარინისა მღეროდა, „ჩემო თავო ბედი არ გიწერია"-ს და ხორომ ორკესტრის აკომპანიმენტით შეასრულა 8 ქართული ხალხური სიმღერა, რომელთა უმეტესი ნაწილი შეკრებილი იყო მ. ა. ბალანჩივაძის მიერ, დანარჩენი არა ქართული ნაწილი გეგმისა შესდგებოდა კლასიკური მუსიკის იმისთანა მომხიბლელის ნაწარმოებით, როგორიც არის „კრეიცერის სონატა" ბეტხოვენისა, რომანსები შუბერტისა და სხვ.

სხვა-და-სხვა რუსულ გაზეთების აზრებიდან, რომლებიც ქართულ საღამოს ქებით არიან აღსავსე, ჩვენ შეგვიძლია მოვიყვანოთ მხოლოდ „Новости дня"-ს აზრი: «Но все таки лучше и наиболѣе для меня въ этомъ вечерѣ интересное сосредоточилось въ народныхъ грузинскихъ пѣсняхъ, исполненныхъ хоромъ и солистами, въ пѣсняхъ, — гдѣ столько своего, оригинальнаго, непосредственнаго, столько свѣжести, ритлическихъ и мелодическихъ неожиданностей разнообразной смѣны настроеній».

წმინდა შემოსავალი დაგვრჩა 1400 მან. მეტი, რიცხვი, რომელსაც შეუძლია გამოსახოს ხალხის რაოდენობა, თუ ამასთანავე მივიღებთ სახეში იმას, რომ ხარჯმა 2600 მანეთზედ გარდააცილა, რადგანაც ორკესტრი, დარბაზი, მსახიობთ საჩუქარი, პროგრამმა, აფიშები და სხვ. ძვირათ დაგვიჯდა. ამასთანავე ხარჯის აღნიშვნის დროს სახეში უნდა ვიქონიოთ ის გარემოება, რომ არა ჩვეულებრივ პირობებში ვიყავით ჩაყენებული! საღამო ორჯერ გავმართეთ; სრულიად მზათ ვიყავით 27 ნოემბრისათვის, მაგრამ მოულოდნელ გარემოების გამო იძულებულ გავხდით გადაგვედო 12 თებერვლისათვის და ის ხარჯი, რომელიც 27 ნოემბრისათვის წაგვივიდა, თითქმის სრულიად დაიკარგა. მე კერძოთ, როგორც თანამშრომელი წლევანდელ საღამოს გაკეთებისა, ზნეობრივ ვალდებულათ ვთვლი ჩემს თავს, გულითადი ძმური მადლობა გამოვუცხადო იმ პირთ, რომლებიც კომისიაში იღებდნენ მონაწილეობას და მათის რჩევით, შრომით, მხნეობით გულს გვიკეთებდენ იმ დროს, როდესაც არ ვიყავით მოკლებული წაგების და საღამოს გარეგანი სახის სიმშვენიერის შიშს. აგრეთვე დიდს მადლობას ვუძღვნი ყველა მათ ვინც, თავისი მონაწილეობით დაამშვენა ქართული საღამო, რომელთა შორის პირველი ადგილი ეკუთვნის ბ. ა. ნ. კორეშჩენკოს, რომელმაც არავითარი შრომა არ დაზოგა საღამოს კარგათ გამართვისათვის და, იმედია, შემდეგშიც არ დაზოგავს თავის უანგარო შრომას; ამ იმედს ამართლებს მისი გარდაწყვეტილება, რომ წელს საქართველოში ჩამოვიდეს და თითონ ადგილობრივ შეისწავლოს და შეკრიბოს ქართული მელოდიები. კიდევ ულრმეს მადლობას ვსწირავ ამხანაგების და ჩემის მხრიდანაც იმ პირთ, რომელთაც მატერიალურად შემწეობა აღმოგვიჩინეს.

შემომწირველთა სია:

თავ. ი. გ. ამილახვარისაგან 10 მ., თავ. გრუზინსკისაგან 20 მ., თავ. მ. ა. ნაკაშიძისაგან 10 მ., კ. ხ. მამაცაშვილისაგან 5 მ., დ. ი. მუსხელოვისგან 3 მ., თავ. ნ. დ. დიასამიძისაგან 5 მ., თავ. დ. ე. ჩოლაყაშვილისაგან 10 მან., თავ. გ. ი. თარხნიშვილისაგან 15 მან., გ. ს. განძიელისაგან10 მ., ნ. ვ. ღოღობერიძისაგან 10 მ., ნ. ი. ნიკოლაძისაგან 10 მ., ი. ნ. რეიტერისაგან 20 მ., კ. ნ. რეიტერისაგან 15 მან., რ. ი. საგინაშვილისაგან 3 მ., თავ. რევაზ მ. ერისთავისაგან 25 მ., კ. ზუბალაშვილისაგან 25 მ., თავ. ნ. ვ. ბებუთაშვილისაგან 5 მ., დ. სუმბათაშვილისაგან 10 მ., ს. ამირეჯიბისამ 10 მ., პ. პ. ხუნდაძისაგან 3 მ., ა. ქავთარაძისაგან 10 მ., ა. ჭიჭინაძისაგან 5 მ.

სულ შესდგა ჯამი 239 მან.

ამ სიაში მოხსენებული ბრძანდებიან მხოლოდ ის პირნი, რომელთაც შემოწირულება პირდაპირ მე გამომიგზავნეს.

ვალდებულათ ვსთვლი ჩემს თავს ეს სია გამოვაქვეყნო, რადგან არა ერთმა შეკითხვით მომმართა შესახებ იმისა, თუ რატომ აქამდის არ იყო გამოცხადებულიო.

ვსთხოვ ყველა ქართულ გაზეთების რედაქციებს ეს წერილი თავიანთ პატივცემულ გაზეთებში გადაბეჭდონ.

სტუდენტი მოსკოვის უნივერსიტეტისა
ერმილე ს. ხუნდაძე.

თეატრის მატიანე.

ოზურგეთში ადგილობრივ სცენის მოყვარეთაგან წარმოდგენის გამართვა.

თან-და-თან უფრო ვრცელდება ჩვენს საზოგადოებაში სურვილი გონივრულის, აზროვანის დროს გატარებისა. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი პროვინციალური სცენა მოკლებულია უოკლესავე ელემენტარულს საჭირო საგნებსაც, აქ ხშირად ორი-სამიოდე პირის მონდომების შემდეგ, უცბად „უჩან-მაჩანის ქუდის" საშუალებასავით გაჩნდება ულევნაირი საჭირო მასალები, ასე გასინჯეთ, მაყურებელი საზოგადოებაც-კი!..

აი, ამნაირის „უჩან-მაჩანურის ქუდის" შემწეობით, სამი-ოთხი დღის

წერილს არქმევს „დევნილი მეგობარი" და შიგ-კი ლაპარაკობს შხამიანს გველებზედ და თაგვებზედ, გოგებაშვილის აზრით, შხამიანი გველი და თაგვი ჩვენი მეგობრები ყოფილანო. მეორე მარგალიტი: გოგებაშვილს არა სცოდნია, რომ ზღარბი უმთავრესად თაგვების მჭერელი-კი არ არის, მწერების მჟლეტელიაო, კბილები მაინც გაუშინჯეთო. კბილებით ზღარბი ჰგავს ძაღლსა და კატასა, მაშასადამე ეს ორი შინაური ცხოველიც მწერების მჭამელნი უნდა იყვნენ. ფრინველებს კბილები სრულიად არა აქვთ, ამიტომ სწორედ სასწაულ მოქმედებას უნდა მივაწეროთ, რომ ეს უკბილო სულიერნი მწრებით იკვებებიან. რაც ჩვენ ზღარბზედ ცნობები გვაქვს მოქცეული წიგნში, ამოკრებილია ფოხტის წიგნიდგან: სასარგებლო და მავნე ცხოველები, ფოხტი ძლიერ სასარგებლო ცხოველად რაცხს ზღარბსა და მფარველობას თხოულობს. ჩვენი კრიტიკანი-კი სხვა აზრისაა, უთუოდ იმიტომ, რომ ეს ყოვლად საფუძვლიანი თხუზულება მას არც-კი უნახავს თვალითა. მესამე მარგალიტი: „გოგებაშვილს უნდოდაო დაემტკიცებინა, რომ ზღარბი მოსავლის მცველია, იმის მაგიერ იმან გვიჩვენა, რომ ზღარბი ცხოველების სიცოცხლის მცველია" ახლა არ იკითხავთ, რითი ვაჩვენე მე ეს მკითხველსა? იმითი, რომ ზღარბი გამოვიყვანე შხამიანი გველების და თაგვების მჟლეტელად!? ბატონებო, სად გაგონილა ასეთი უსაზღვრო სიცრუე და დაწამება ასეთი საარაკო უვიცობისა?

დაუმატეთ ამ სამს მარგალიტს სამიოდ-ოთხი წვრილმანი და უსაფუძვლო შენიშვნა კრიტიკანისა და თქვენ თვალ-წინ იქნება მთელი შინაარსი სამი ვეებერთელა წერილისა, რომელნიც წარმოუდგენენ ბუჩოს გროვას, სადაც აქა-იქა მოიპოვება ღვარძლის და ფშუტას მარცვლები.—

აშკარაა, კრიტიკიანს არც კი გადუფურცლავს ზემოდ მოხსენებულნი თხუზულებანი გამოჩენილის ბუნებისმეტყველებისა, თუმცა მარტო უვიცობით ვერ აიხსნება ამგვარი წერილის დაბეჭდვა. გიორგი წერეთელსაც ძალად დაუვიწყებია ის მცირეოდენი ცოდნა ბუნების მეტყველებიდგან, რომელიც წინედ უქონდა. კანცოვკების სპეციალისტიკასაც დავიწყებია, რომ ჯეჯილში არც ერთს კანცოვკას კავშირი არა აქვს მოთხრობის შინაარსთან, და მე მიკიჟინებს ამ გვარს უკავშირობასა.—

ამ სახით, სამის სიბოროტე, უმართებულობა და უვიცობა შეერთდნენ ერთად, რათა შეუკრან გზა ხალხში წიგნსა, რომელიც,რაც უნდა იყოს, სასარგებლო და საჭირო ცოდნას შეიცავს ჩვენის ქვეყნის მხვნელმთესველთათვის და რომლის სანაცვლოს ჩვენს ლიტერატურაში ვერ დაასახელებენ იგინი, რადგან მეორე წიგნი არ მოგვეპოება, რომელსაც საგნად ჰქონდეს სასარგებლო ცხოველების და ფრინველების ცხოვრება და მოქმედება.—

ამას ისიც უნდა დავუმატოთ, რომ თანამშრომლებს „კვალისას" არავითარი ბრალი არა სდევთო იმ კრიტიკის დაბეჭდვაში. რომელსაც კი მათგანს წაუკითხავს დაბეჭდვამდე ეს კრიტიკული წერილი, ყველა წინააღმდეგი ყოფილა მისი დაბეჭვისა; მაგრამ თვითონ რედაქციას დიდი სიამოვნებით გამოუჭიმნია თავისი გაზეთის ფურცლებზედ და დარწმუნებულია, თურმე, რომ ჩვენ დაგვამცირა მკითხველების თვალში და არა თავისი თავი შეარცხვინა მის წინაშე.

ან რატომ არ დაბეჭდავდა,როდესაც სტატია, როგორც სჩანს, დაწერილია შეკვეთით. თბილისში ბევრმა კარგად იცის, რომ „კვალის" რედაქცია აქეზებს ჩემს წინააღმდეგ,ვისიც წაქეზება-კი შეიძლება,უკვეთავს ჩემ წინააღმდეგ წერილებსა, სცვლის ამ წერილებსა, ხან თვითონა სთხუზავს მათ და სცდილობს სხვა გაზეთებში დააბეჭდვინოს იგი, ან თვიონ დაბეჭდოს გაბრიყვებული პირების სახელით. კიდეც ამის გამო ვხედავთ რომ განუვითარებელი პირნი, რომელთაც რიგიანი მოკითხვის ბარათის დაწერაც არ შეუძლიანთ, ხელს აწერენ წერილებს, რომელთაც გამოცდილი ფლიდი კალმის ნაწარმოების ბეჭედი ზედ აზის. ერთი გაბრიყვებულთაგანი ამ დღეებში თურმე გაუტყდა ბევრს თავისს ნაცნობს თბილისში, რომ გიორგი წერეთელმა გამაბრიყვაო გოგებაშვილის წინააღმდეგ და ისე ვნანობ, რომ გავლანძღავდი, აქ რომ იყვეს ახლაო. სხვანი-კი არამც თუ არ ნანობენ, პირიქით ამაყობენ, რომ ბრიყვულს და სიცრუვით სავსე წერილებს, რომელიმე ინტრიგანის მიერ დაწერილს, თავისი სახელით ბეჭდავენ.—

სწორედ ამ ბრმა პირადი მტრობით აიხსნება, რომ „კვალმა" არ იკმარა არც უკადრისი კილო კრიტიკისა, არც გაკიცხვა წიგნისა, რომელიც, ყოველ შემთხვევაში იპყრობს საჭირო და სასარგებლო ცოდნას ხალხისათვის, და ამას დაუმატა რამდენიმე არა საკადრისი ინსინუაცია, რაც ფრიად სამარცხვინოა მეტადრე იმ გაზეთისათვის, რომლის რედაქტორ-გამომცემლად ქალი ითვლება.—

ახლა როგორ მოვიყვანოთ ჭკუაზედ და ნამუსზედ „კვალის" რედაქცია, რომელსაც უკურნებელ სენად გადაექცა ჩემი და ჩემი წიგნების კიცხვა თითქმის ყოველ ნომერში? ბედად, ჩვენა გვყავს ერთი იმისთანა სახელოვანი ბუნების-მეტყველი, რომლის ავტორიტეტი ყველას თვალში უმაღლესს წერტილამდე არის ასული და რომლის მსჯავრის წინაშე ყველამ უნდა თავი მოიდრიკოს. ეს ბრძანდება დიდად პატივცემული პროფესორი ვასილი მოსეს ძე პეტრიაშვილი. მე იძულებული ვარ იგი შევაწუხო და მივმართო თხოვნით: გადიკითხოს ჩემი წიგნი „მოსავლის მცველნი", და „კვალის" კრიტიკა და „კვალშივე" დაბეჭდოს თავისი პასუხი შემდეგს ორს კითხვაზედ: ჭეშმარიტს, საჭიროს და სასარგებლო ცოდნას იპყრობს ჩემი წიგნი, თუ არა? „კვალის" კრიტიკა საფუძვლიანია და რიგიანი, თუ უსაფუძვლო, უმართებულო და მავნებელი?—

იაკობ გოგებაშვილი.

* * *

ეროვნული ბიბლიოთეკა

მომზადების შემდეგ, 15 ივნისს, გაიმართა დარბაისლური წარმოდგენა, დრამა „და ძმა“. მონაწილეობას იღებდნენ უმეტესა ნაწილი ადგილობრივად ცნობილი ნიჭიერი, განვითარებული პირნი, და მართლაც, რომ არ გელოდით, იმდენად მშვენივრად, რიგიანად და შეგნებულად ითამაშა თითოეულმა წარმომადგენელთაგანმა თავ თავიანთი როლი.

განსაკუთრებით შესანიშნავია ამ შემთხვევაში პატივცემულ მანდილოსნების: ელენე გაყურამის ასულის და ატატო ზუბურიშვილის მონაწილეობის მიღება წარმოდგენაში. ყველაზედ მეტად საძნელოა ყველგან და, მით უმეტეს, პროვინციალურს წარმოდგენაში მცოდნე, დარბაისელ მანდილოსნების გარევა.

თუმცა წავიდა ის დრო, როდესაც წარმოდგენას, თეატრს საზოგადოება რაღაც სასირცხვილო, არა დარბაისლურ საქმედ სთვლიდა, მაგრამ ფაქტიგურად მაინც ჩვენებურს, საზოგადოთ, და მით უმეტეს ღარიბ პროვინციის სცენას უველა ერიდება, არ კადრულობს. პირიქით, შეგნებულმა, საპატიო მანდილოსნებმა უნდა მიიღონ ხშირად მონაწილეობა ასეთს წარმოდგენებში, რომ მით თან-და თან უფრო აღამაღლონ საზოგადოების თვალში ნამდვილი კეთილი ღირსება თეატრისა. ამიტომაც, დიდის მადლობის ღირსნი არიან ქ-ნნი ელენე გაყურამის ასული და ატატო ზუბურიშვილი, რომლებსაც დიდი თანაგრძნობა და თანამშრომლობა მიუძღვისთ ჩვენის პროვინციის თეატრის საქმის მოწყობასა და დაფუძნებაში.

დიდის მადლობის ღირსნი არიან აგრეთვე აქაური ახალგაზდა ინტელიგენტები: დათიკო და გრიგოლ გუგუნავები, ფილიპე მგელაძე, გ. დუმბაძე, ნიკოლაიშვილი და ძმანი ურუშაძენი, რომლებიც ახალგაზდურის ენერგიითა და სიმპატიით ეპყრობიან ასეთს საქმეს.

ოზურგეთის საზოგადოებაც დიდათ კმაყოფილი და ნასიამოვნები დარჩა ამ უკანასკნელ წარმოდგენით. მიუხედავად იმისა, რომ ცუდი ტაროსი იყო, საზოგადოება მაინც საკმაოდ დაესწრო წარმოდგენას. ასე რომ, 70 მანათი მაინც შემოვიდა. ამ ფულიდგან ნახევარზედ მეტი გაეგზავნა ერთ საზღვარ-გარეთ მყოფს ჩვენებურს მოსწავლეს. დანარჩენი გადაეცა რუსეთში მოსწავლე ჩვენებურ ღარიბ სტუდენტისთვის.

დიდათ სასარგებლოა და სასურველი ასეთი გონივრული, აზრიანი დროსტარება. ყველა ადგილობრივმა შეგნებულმა პირებმა უნდა ყოველისავე ღონისძიებით ეცადონ, რომ ხელი შეუწყონ ასეთს პროვინციებში ჩვენებურის თეატრის საქმის დაფუძნებას, განვითარებას; ამას მარტო ადგილობრივი მნიშვნელობა კი არ ექნება, ეს იქნება საერთო, ჩვენებური, დიდათ სასარგებლო საქმე.

წვრილი ამბავი

ჯვარის-წერა ჩინეთში. მეტად ზრდილობიანის წერილების წერა იციან ჩინელებმა, როცა საქმე ჯვარის-წერას შეეხება. აი ერთი ნიმუში ამისა. ერთი კაცი თავისის შვილისათვის მეზობელს ქალს სთხოვს და შემდეგის შინაარსის წერილსა სწერს:

„მუხლ-მოდრეკით გეაჯები, ნუ უგულებელ ჰყოფ ჩემს კადნიერსა და მდაბალსა თხოვნასა, არამედ მოისმინე ჩემი თავ-მდაბლური სიტყვები. მაეც შენი ქალი ჩემს კაცს, შენს უმდაბლესს მონასა, რათა ორივე ახალგაზდები, აბრეშუმის ძაფებით შეერთებულები, უდიდესის სიხარულით დასტკბნენ. მშვენიერი გაზაფხული რო დადგება, საქორწილო ფეშქეშებს მოგიტან და მოგართმევთ რამდენსამე ბატებს. იმედი კი ქონიოთ, რომ საუკუნო ნეტარებას მიგანიჭებთ, და აუსრულდესთ ყოველივე სურვილი ჩემს კაცსა და შენს ქალს, რომელთაც ერთმანერთი უყვარსთ. განმეორებითა გთხოვთ მუხლ მოდრეკითა, უურად იღო ჩემი წინადადება და მოწყალე თვალნი, სარკესავით ბრწყინვალენი, დააკვირვო ამ სტრიქონებს“.

ამ წერილზე პატარძლის მამამ უპასუხა: დიდის სიამოვნებით ვაძლევ ჩემს მორჩილს, ღარიბს ქალს კეთილ-შობილ უმაწვილ კაცს და ვეცდები, მზითვად ცოტაოდენი ლოგინი, ჩითის კაბები, თმის ჩხირები და საყურეები მოვუმზადოვო.

გემების მიმოსვლა შავ ზღვაზედ

საფოსტო—პასაჟირო გემები

ბათომიდან 1) გემი წრაფის რეისით, გადის შაბათობით, შუადღის 12 საათზედ, შეივლის ნოვოროსიისკში, იალტაში და სევასტოპოლში.

ბათომიდან 2) პირველი ირგვლივის გზის გემი გადის შაბათობით, ღამის 2 საათ, შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან 3) მეორე ირგვლივის გზის გემი გადის სამშაბათობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან 4) მესამე ირგვლივის გზის გემი—პარასკეობით, ღამის 2 საათზედა., შეივლის ყველა ნავთსადგურებში.

ბათომიდან პირდაპირი გემი ხუთშაბათობით, შუადღის 12 საათზედ; შეივლის ნოვოროსიისკში, ქერჩში, ფეოდოსიაში, იალტაში და სევასტოპოლში.

საბარგო-სამასაჟირო გემები.

ბათომიდან გადიან პარასკეობით, 8 ს. საღამოზე. შეივლიან ყველა ნავთ-სადგურებში.

ბათომიდან გადიან ოთხშაბათობით, ღამის 2 საათზედ, შეივლიან ფოთში, ნოვოროსიისკში და სევასტოპოლში.

ბათომში მოდიან გემები

ირგვლივი გზის გემები მოდიან ბათომში ორშაბათობით, ხუთშაბათობით და პარასკეობით, საღამოთი.

პირდაპირი გზის გემები მოდიან ბათომში ოთხშაბათობით, დილით.

სწრაფი რეისის გემები მოდიან ბათომში პარასკეობით, ნაშუადღევს.

საბარგო-სამასაჟირო გემები, პირდაპირი, სამშაბათობით, ნაშუაღამევს. ჩვეულებრივი—პარასკეობით, შუადღეს.

განცხადებანი

ექიმი

უ. მ. ჩიქოვანი

ავადმყოფს იღებს ყოველ დღე
დილის 11—12 საათამდე და
საღამოს 6—7 მდე.
მიხეილის ქუჩა, № 16.

კლიშეები განცხადებისათვის

О.РЕНАРЪ МОСКВА





Дозволено цензурою. Тифлисъ, 28 Іюня 1897 г. სტამბა მ. შარაძისა და ამხ. ნიკ. ქ. № 21. რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.